ხელშეკრულება № 16

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თელავი 27 აპრილი 2022 წ.

ერთი მხრივ, **ა.ა.ი.პ. თელავის სატრანსპორტო სამსახური** (შემდეგში „შემკვეთად“ წოდებული), მისი დირექტორის ივანე იორდანიშვილის სახით და მეორე მხრივ, **შპს„კომპაუდი“** (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის №SARAS-F-519441) (შემდეგში „შემსრულებლად“ წოდებული) წარმოდგენილი მისი დირექტორის კობა ბერაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტის თანახმად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 79200000 - საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები

1.1.1. შეფასება უნდა განხორციელდეს შემდეგი სახის მომსახურების:
1) სარეკლამო საფასურის განსაზღვრა - შეფასება .

მომსახურების დასახლება
საშემფასებლო მომსახურება

მუხლი 2. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

2.1. შემკვეთი ვალდებულია:
2.1.1. შეუქმნას „შემსრულებელს“ სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო პირობები.
2.2. შემსრულებელი ვალდებულია:
2.2.1. შეფასება განახორციელოს შეფასების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს იმ მეთოდოლოგიასა და მიდგომებს, რომლებიც ცალსახად არის დაფიქსირებული საერთაშორისო შეფასების კომიტეტის (International valuation Standarts Committee) მიერშეფასების საერთაშორისო გამოცემაში;
2.2.2. შეფასებისას შემოთავაზებულ მეთოდოლოგიაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი შემოთავაზებული მიდგომა და ჩასატარებელი სამუშაოთა აღწერა თითოეული ტიპის საგანზე.

მუხლი 3. მომსახურების გადაცემა

3.1. შეფასებაზე დასკვნის წარდგენა ხდება შემკვეთის უფლებამოსილ პირზე შემსრულებლის წარმომადგენლის მიერ გადაცემით ან ფოსტით;
3.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების თარიღად ითვლება შემკვეთისათვის შეფასების დასკვნის წარდგენის თარიღი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ვადები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 15 ივნისამდე.
4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ვადაა თავში მითითებული

თარიღიდან 2022 წლის 15 მაისამდე.
4.3. შემსრულებლის მიერ ვალდებულების შესასრულებლად ვადის გაგრძელება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, იმის მიუხედავად იგი მოხდა თუ არა შემსრულებლის მიზეზით, წარმოადგენს ვადის გაგრძელების საფუძველს იმ პერიოდამდე, სანამ არ შესრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

მუხლი 5. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 350 (სამას ორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

5.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის მხარეები მატერიალურად პასუხისმგებელნი არიან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
6.2. შემსრულებელი შეფასებას ახორციელებს მხოლოდ შეფასების პროცესში წარდგენილი ქონების, დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე. დოკუმენტების სისწორესა და დოკუმენტებში ასახული მონაცემების უტყუარობაზე პასუხისმგებელი არიან ამ დოკუმენტების შემქმნელი ან ხელმომწერი პირები;
6.3. ნებისმიერ სარჩელსა და პრეტენზიაზე შემსრულებლის პასუხისმგებლობა შემოფარგლულია ამ ხელშეკრულების თანახმად დამდგარი ზიანის ოდენობით.

მუხლი 7. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება

7.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;
7.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;
8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. სხვა პირობები

10.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
10.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
10.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;
10.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
10.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
10.6. ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით, დარეგულირდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,, შემკვეთი“:

ა.ა.ი.პ „თელავის სატრანსპორტო სამსახური''
მის: ქ.თელავი თბილისის გზატკეცილი
ს/კ: 431439516

ბანკის კოდი TRESGE22

ხაზინის ერთიანი ანგარიში

ელ.ფოსტა:

telavis.transporti@gmail.com

დირექტორი ივანე იორდანიშვილი

---

telavi transport service

Digitally signed by telavi transport service
Date: 2022.04.27 16:28:28 +04'00'

,,შემსრულებელი“:

შპს ,,კომპაუდი“
მის.: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი #95ა
ს/კ: 202385169

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა: GE46TB0739736020100009

დირექტორი კობა ბერაძე

LTD kompaudi

Digitally signed by LTD kompaudi
Date: 2022.04.27 16:25:53 +04'00'